ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. ნოემბრის 10 № 7 თბილისი

შინაარსი.

ხახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

31. ღორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

32. ტყის ხანძრების თავიდან აკილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

33. საქართველოს სსრ კავშირის მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, იუსტიციისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების დებულებათა ცვლილების შესახებ.

34. დებულება საშენი მასალის ხარისხის საკონტროლო-საცდელი ლაბორატორიის შესახებ.

35. საქართველოს სსრ-ში მუშა-ხელის შეგროვებისა და ორგანიზებული შეკრეფის მოწესრიგების საქმის რეორგანიზაციის შესახებ.

36. საკუნჰალტრო ექსპერტიზის ბიუროს ლიკვიდაციის შესახებ.

37. უმეთვალყურო და ეული საქონლის შენახვისა და პატრონებისათვის დაბრუნების წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია უმეთვალყურო და ეული საქონლის შენახვისა და პატრონებისათვის დაბრუნებია წესის შესახებ.

38. ყარაიას სანადირო ნაკრძალის დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

24.18

31. ღორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

იმ მიზნით, რათა სახელმწიფო მრეწველობის უზრუნველსაყოფად შენარჩუნებულ იქნას ღორის ტყავი და ჯაგარი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს:

ა) სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს დაკლული ღორის გაფუფქვა და გატრუსვა მიუხედავათ იმისა, თუ რა მიზნისათვის (გასასყიდათ თუ საკუთარი მოხმარებისათვის) და სად (სასაკლაოზე, დასაკლავ ძოედნებზე ან ეზოში) ხდება ღორის დაკვლა;

ბ) სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მათ შორის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს დაკლული ღორების წინასწარ ტყავ გაუხდელად დამუშავება და გამოყენება დამოუკიდებლად იმისა, თუ რა მიზნისათვის (გასასყიდათ თუ საკუთარი მოხმარებისათვის) და სად (სასაკლაოზე, სასაკლაო ბაქანზე ან ეზოში) მოხდა ღორის დაკვლა;

გ) არაგადამდები სნეულებისაგან დახოცილი ღორების მოსპობა წინასწარ ტყავგაუხდელად;

დ) დაკლული ღორების გაყიდვა ტყავგაუხდელად.

2. დაწესებულ იქნას ღორის ტყავის და ჯაგრის სავალდებულო ჩაბარება დამმზადებელი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო სადამამზადებლო ფასად განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების მიერ, მათ შორის საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიურ მეურნეობების მიერ—იმის და მიუხედავად, თუ რა მიზნით არის დაკლული ღორი (გაყიდვისა თუ საკუთარი მოხმარებისათვის).

3. ამ დადგენილების 1 და მე-2 მუხლით გათვალისწინებული წესები არა ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დაკლულია 16 კილოგრამზე ნაკლები ცოცხალი წონის ღორი საკუთარი მოხმარებისათვის.

4. ამ დადგენილების 1 და მე-2 მუხლებში აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს თანამდებობის პირთათვის — პასუხისმგებლობას სასამართლო ან სადისციპლინო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად—თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ, ხოლო კერძო პირთათვის-პასუხისმგებლობას სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხლის თანახმად (მე-2 მუხლის „დ“ პუნქტის დარღვევა).

5. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 4 ოქტომბრის დადგენილება „ლორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 26, მუხ. 153) და ინსტრუქცია, გამოცემული 1937 წ. 4 თებერვალს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომისარიატის საქართველოს სსრ-ში რწმუნებულის, საქართველოს სსრ მიწსახკომის, იუსტსახკომის, შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის და ჯანსახკომის მიერ „ლორის ტყავით მრეწველობის მომარაგების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 4 ოქტომბრის № 1253 დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ფ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. ოქტომბრის 3. № 1827.
თბილისი.

---

32. ტყის ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

იმის შედეგად, რომ საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს, ხოლო ზოგიერთ ადგილას რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს არ შეუსრულებიათ „ტყის ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 28 ივნისის დადგენილება (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 1), უკანასკნელ დროს გახშირდა ტყის ხანძრების შემთხვევები.

ტყის ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს გაშალონ სახანძრო-პროფილაქტიკური და მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა სატყეო რაიონების მოსახლეობის შორის, გამოიყენონ ამ მიზნით პრესა და რადიო, გააცნონ მოსახლეობას სადირექტივო მითითებანი ტყის ხანძრებთან ბრძოლის შესახებ და მიაღწიონ იმას, რომ მოსახლეობამ დაიცვას ხანძრის საწინააღმდეგო რეჟიმი ტყეებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის ორგანოთა წარმომადგენლებს და სატყეო მეურნეობათა დირექტორებს, რომლებიც ადგილებზე წარმოადგენენ ტყის ხანძრების თავიდან აცილებისა და მათთან მებრძოლი სამეულების ხელმძღვანელებს, ერთი თვის ვადაში გაატარონ ის ღონისძიებანი, რომლებიც დაკისრებული აქვთ სამეულებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 28 ივნისის დადგენილებით.

3. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში და კოლმეურნეობებისათვის მუდმივ სარგებლობაში გადაცემულ ტყეებში ხანძრის თავიდან აცილებისა და მათი დაცვის ღონისძიებათა გატარება დაეკისროს რაიონულ სამეულებს.

4. „ტყის ხანძრის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 ივნისის დადგენილების მე-5 პუნქტის შესაცვლელად (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 1), კატეგორიულად აიკრძალოს წლის ყოველ დროს ცეცხლის დანთება ტყეებსა და ტყეების მინდვრებზე.

შენიშვნა. ცეცხლის დანთება მუშების მიერ სამეურნეო სამუშაოების დროს და ხე-ტყის სამრეწველო დამზადების დროს შეიძლება დაშვებულ იქნას მთელი წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ცეცხლი დანთერულ იქნას უტყეო მინდვრებზე და აუცილებლად ყოველ ცალკე შემთხვევაში ტყის მცველთა თანხმობით და მათი მეთვალყურეობით.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს ტყესაკაფების გაწმენდა დაამთავრონ იმ ვადების მტკიცედ შესაბამისად, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 31 ივლისის № 1250 დადგენილებით „ჩეხვის ნარჩენებისაგან ტყესაკაფების გაწმენდის ღონისძიებათა შესახებ".

6. აღინიშნოს, რომ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატყეო მეურნეობებს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 28 ივნისის დადგენილება ტყეებში საქონლის გარეკვისა და დგომის დროს ტყეების სათანადოდ დაცვის შესახებ. წინადადება მიეცეს სატყეო მეურნეობათა დირექტორებს წინასწარ აღრიცხონ პირუტყვის გასარეკი ყველა გზა და უზრუნველჰყონ ისინი გაძლიერებული დაცვით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მიიღოს შეკვეთები და შეიტანოს საწარმოთა გეგმაში სახანძრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინვენტარის დამზადება და უზრუნველჰყოს ასეთი ინვენტარის დამზადება 1939 წლის პირველ ნახევარში.

8. იმ მიზნით, რათა კონტროლი გაეწიოს და შემოწმებულ იქნას სატყეო მეურნეობათა მუშაობა ხანძრისაგან ტყეების დაცვის საქმეში, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატს მოახდინოს ტყეების დაცვის არსებული ჯგუფის რეორგანიზაცია, ამასთან აუცილებლად შეიყვანოს ამ ჯგუფში სახანძრო დაცვის სპეციალისტი და 1939 წლისათვის გაითვალისწინოს ტყეების დაცვის ინსპექტორის თანამდებობა თვითეულ სატყეო მეურხეობის შტატში. ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველოს სატყეო განყოფილებაში აღდგენილ იქნას სახანძრო სპეციალისტის თანამდებობა და 1939 წლისათვის გამოიყოს არსებული შტატიდან ყოველ სატყეო მეურნეობაში ტყეების სახანძრო დაცვის ინსპექტორი.

9. საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო სამმართველომ და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ მათი ორგანოები აღგილებზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებს, ზემდგომი ორგანოების ყველა ბრძანებას, დირექტივებსა და ცირკულარებს ტყის ხანძრებთან ბრძოლის შესახებ, ამასთან ის პირები, რომლებიც სადირექტივო მითითებებს არ ასრულებენ, მისცენ პასუხისგებაში თვით სამართალში მიცემამდიც კი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებენ რაიონული სახალხო სასამართლოები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 28 ივნისის დადგენილებას და უზრუნველჰყოს ტყის ხანძრების შესახებ აღძრული საქმეების დაუყოვნებლივ გარჩევა იმ მასალების მიხედვით, რომლებსაც სასამართლო ორგანოები ღებულობენ სატყეო სამრეწველო მეურნეობებისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისაგან და დააჯარიმონ ის პირები, რომლებიც არ ასრულებენ სატყეო რაიონებში სახანძრო დაცვის წესებს.

11. ამ დადგენილების შესრულებისათვის კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევა დაეკისროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. ოქტომბრის 14. № 1938,
 თბილისი.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

33. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, იუსტიციისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების დებულებათა დამატების შესახებ.

081.1 21.6.1 21.7.1 21.8.1 21.9.1

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი დამატებანი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, იუსტიციისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების დებულებებში (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 1, მუხ. 3 და 4; № 2, მუხ. 7 და 11; № 5, მუხ. 21):

1. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, იუსტიციის და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებში იქმნება კოლეგიები სახალხო კომისართან, რომლებიც მართავენ რეგულარულ სხდომებს და იხილავენ უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა ანგარიშებს, მნიშვნელოვან ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ტარდება სახალხო კომისრის ბრძანებათა სახით.

სახალხო კომისარსა და კოლეგიას შორის მომხდარი უთანხმოების შემთხვევაში სახალხო კომისარი ატარებს ცხოვრებაში თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სახალხო კომისრის წარდგენით.

2. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, იუსტიციის და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატები, ხელმძღვანელ და ძირეულ მუშაკთა გამოცდილების უკეთ გამოყენების და როგორც კრიტიკის, ისე თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, რეგულარულად თვეში ერთხელ იწვევენ სახალხო კომისარიატში აქტივს. სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოებსა, ტრესტებსა და სხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელები იწვევენ აქტივს, სადაც მოისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის და საქართველოს სსრ-ის სათანადო სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელ მითითებათა შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. ოქტომბრის 14. № 1950.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 14 ოქტომბრის № 1959 დადგენილებით.

24.10

34. დებულება საშენი მასალის ხარისხის საკონტროლო-საცდელი ლაბორატორიის შესახებ.

I. საერთო დებულება.

1. საშენი მასალის ხარისხის გაუმჯობესებისა და იმ საწარმოთა პროდუქციისადმი სისტემატიური კონტროლის განხორციელების მიზნით, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საშენ მასალას ამზადებენ, ეწყობა საშენი მასალის ხარისხის საკონტროლო-საცდელი ლაბორატორია.

2. საშენი მასალის ხარისხის საკონტროლო-საცდელი ლაბორატორია ემორჩილება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

3. საკონტროლო-საცდელი ლაბორატორია კონტროლს უწევს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საშენ მასალათა ყველა საწარმოს პროდუქციის ხარისხს მათი ქვემდებარეობის მიუხედავად, და როგორც სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაცია, დახმარებას უწევს საწარმოებს საშენი მასალის წარმოების მოწესრიგებაში პროდუქციის ხარისხის მხრივ, აგრეთვე ასრულებს უწყებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ცალკეულ დავალებებს ამ უკანასკნელებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

4. საკონტროლო-საცდელი ლაბორატორიის საერთო მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას ანხორციელებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია სათანადო სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციების მონაწილეობით.

5. საკონტროლო-საცდელი ლაბორატორიის მუდმივი ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

6. საკონტროლო-საცდელ ლაბორატორიას აქვს კუთხის შტამპი და ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

II. ლაბორატორიის გამგებლობის საგანი.

7. საშენ მასალათა საწარმოების პროდუქციის ხარისხის კონტროლს ლაბორატორია ანხორციელებს შემდეგი გზით:

ა) პერიოდულად აიღებს საშუალო სინჯს საწარმოებში, რომლებიც საშენ მასალებს ამზადებენ, მოახდენს ნიმუშების გამოცდას ლაბორატორიაში და ამ გამოცდის საფუძველზე მისცემს სათანადო დასკვნებს პროდუქციის ხარისხისა და წარმოების დეფექტების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ლაბორატორიის მუშაკები გაემგზავრებიან საწარმოებში, რათა ადგილზე მისცენ კონკრეტული მითითებანი ცალკეული საწარმოო პროცესების სწორად ჩატარების შესახებ.

შენიშვნა. სინჯს შეფუთავს და რკინიგზის სადგურამდე მიიტანს ქარხნის სამმართველო ლაბორატორიის წარმომადგენლის თანდასწრებით ლაბორატორიაში სინჯის მიტანის ხარჯები დაეკისრება საქარხნო სამმართველოს.

სინჯის მიტანა ლაბორატორიაში არასარელსო გზებით ხდება საქარხნო სამმართველოს საშუალებებითა და ხარჯზე.

8. სამეურნეო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე ლაბორატორია:

ა) ახდენს ექსპერტიზას და იძლევა ტექნიკურ დასკვნებს იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრება დავა პროდუქციის ხარისხის შესახებ;

ბ) შეისწავლის ტექნოლოგიური პროცესის წარმოების პირობებს, არკვევს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ წუნს და პროდუქციის ხარისხის შემცირებას და იძლევა საწარმოო ინსტრუქციებს აღნიშნულ საკითხებზე.

9. იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ, ლაბორატორიის მითითებების მიუხედავად, გამოუშვა არასტანდარტული ან არა კეთილხარისხოვანი პროდუქცია, დამნაშავე პირნი მიიცემიან პასუხისგებაში დადგენილი წესით.

III. ლაბორატორიის სტრუქტურა.

10. საკონტროლო-საცდელი ლაბორატორიის სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

11. ლაბორატორიის თანამშრომლებს მიიღებს და დაითხოვს ლაბორატორიის გამგე.

ცალკეულ თანამშრომელთა ფუნქციებს დააწესებს ლაბორატორიის გამგე.

IV. მუშაობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

12. ლაბორატორია შეადგენს თავისი მუშაობის გეგმას და ხარჯთაღრიცხვას და დასამტკიცებლად წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს.

V. ლაბორატორიის ანგარიშგება.

13. ყოველწლიურად ლაბორატორია შეადგენს და დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარადგენს წლიურ ანგარიშს, ბალანსსა და დაგროვება-ზარალის ანგარიშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, ლაბორატორია შეადგენს კვარტალურ ტექნიკურ ანგარიშებს პროდუქციის ხარისხის დინამიკის შესახებ მრეწველობის დარგების მიხედვით, აგრეთვე საშენ მასალათა ცალკეული, უფრო მსხვილი საწარმოების მიხედვით, აღნიშნავს გამოშვებული პროდუქციის სტანდარტების ყველა ძირითად მაჩვენებლებს და ამ ანგარიშებს წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ამასთან ამ ანგარიშების ასლებს გაუგზავნის საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატებსა და უწყებებს.

VI. ლაბორატორიის დაფინანსება.

14. ლაბორატორიის სახსრებს შეადგენს:

ა) ასიგნობანი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით;

ბ) უწყებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან სახელშეკრულებო სამუშაოთა ანაზღაურების წესით შემოსული თანხები;

გ) სხვადასხვა შემოსავალი.

15. ლაბორატორიის კრედიტებისა და სახსრების განმკარგულებელია ლაბორატორიის გამგე.

VII. ლაბორატორიის ლიკვიდაცია.

16. საკონტროლო-საცდელი ლაბორატორიის ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

833

35. საქართველოს სსრ-ში მუშა-ხელის შეგროვებისა და ორგანიზებული შეკრეფის მოწესრიგების საქმის რეორგანიზაციის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 21 ივლისის დადგენილებისა „კოლმეურნეობებში მუშა-ხელის შეგროვების საქმის მოწესრიგების შესახებ" (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 34, მუხ. 208), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუშა-ხელის შეგროვებისა და ორგანიზებული შეკრეფის მომწესრიგებელი კომისია.

2. მუშათა შეგროვების დაგეგმვის მოვალეობა დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს, რომელსაც დაევალოს გეგმების შემდგომი წარმოდგენა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსათვის დასამტკიცებლად.

3. მუშა-ძალის შეგროვების მოწესრიგება დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. გ. თ. სტურუას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. გაუქმებულ იქნას დროებითი დებულება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მუშა-ხელის მოგროვებისა და ორგანიზებული შეკრეფის მომწესრიგებელი კომისიის შესახებ", რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 31 იანვრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 2, მუხ. 47).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. ოქტომბრის 14. № 1961.
თბილისი.

081.1
122

36. საბუხჰალტრო ექსპერტიზის ბიუროს ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 6 ოქტომბრის № 1075 დადგენილების შესაბამისად, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს მოახდინოს საბუხჰალტრო ექსპერტიზის რესპუბლიკური ბიუროს ლიკვიდაცია.

ლიკვიდაცია ჩატარდეს თანახმად სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. **ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. ოქტომბრის 16. № 1979.
თბილისი.

057.4

37. უმეთვალყურო და ეული საქონლის შენახვისა და პატრონებისათვის დაბრუნების წესის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნას ინსტრუქცია უმეთვალყურო და ეული საქონლის შენახვისა და პატრონებისათვის დაბრუნების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. **ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1938 წ. ოქტომბრის 26. № 2024.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია

უმეთვალყურო და ეული საქონლის შენახვისა და პატრონებისათვის დაბრუნების წესის შესახებ.

1. უმეთვალყურო და ეულ საქონლად ითვლება ნახირსა ან ჯოგს მოწყვეტილი გზადაბნეული საქონელი, რომელიც უმეთვალყუროდ დარჩა და გაერია სხვის ნახირსა და ჯოგში.

2. ის პირნი, რომლებიც უმეთვალყურო და ეულ საქონელს დაიჭერენ, მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ეს საქონლის პატრონს, უკეთუ იციან მისი ვინაობა, და ჩააბარონ მას საქონელი. ხოლო უკეთუ მათ არ იციან პატრონის ვინაობა, ისინი მოვალენი არიან არაუგვიანეს სამი დღისა ჩააბარონ მათ მიერ დაჭერილი საქონელი მუშურ-გლეხური მილიციის უახლოეს ორგანოს - სასოფლო საბჭოს ან ამ უკანასკნელის რწმუნებულს.

შენიშვნა. სასოფლო საბჭო ან მისი რწმუნებული უმეთვალყურო ან ეული საქონლის მათთვის გადაცემის თვითეულ შემთხვევას დაუყოვნებლივ აცნობებს მუშურ-გლეხური მილიციის ადგილობრივ ორგანოს.

3. მე-2 მუხლში აღნიშნული ორგანოებისათვის უმეთვალყურო ან ეული საქონლის გადაცემის დროს შესდგება ოქმი, რომელშიაც აღინიშნება: იმ პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი, რომელმაც საქონელი აღმოაჩინა ან დაიჭირა, საქონლის ზუსტი აღწერილობა, მისი ნიშნები, სიმსუქნე, ჯანმრთელობის მდგომარეობა (მუხ. 4). დაჭერის დრო და ადგილი; ოქმს ხელს მოაწერენ მისი შემდგენი და ის პირი, რომელმაც განაცხადა უმეთვალყურო ან ეული საქონლის დაჭერის შესახებ.

4. უმეთვალყურო ან ეული საქონლის მიღებისას მე-2 მუხლში აღნიშნული ორგანოები დაუყოვნებლივ შეამოწმებენ მას ვეტერინარული ზედამხედველობის უახლოესი ორგანოს მეშვეობით, რომელმაც უნდა მისცეს დასკვნა საქონლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ-შესაძლებელია თუ არა საქონლის დაშვება საერთო ნახირსა ან ჯოგში, თუ აუცილებელია მისი შენახვა იზოლაციაში (კარანტინი).

5. მუშურ-გლეხური მილიციის ორგანო ვალდებულია განსაკუთრებულ წიგნში აწარმოოს რეგისტრაცია მთელი უმეთვალყურო და ეული საქონლისა, რომელიც აღმოჩენილი და დაჭერილი იქნება იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ეს ორგანო უწევს მომსახურეობას. უმეთვალყურო და ეული საქონლის სარეგისტრაციო წიგნში ჩაიწერება ცნობები ოქმიდან (მუხ. 3),აგრეთვე აღინიშნება, თუ ვინ შეადგინა ოქმი, ვის გადაეცა საქონელი დროებით შესანახად (მუხ. 6), საქონლის საბოლოო მიმართულება (პატრონისათვის დაბრუნება თუ კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის საკუთრებაში გადასვლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. აღმოჩენილ და დაჭერილ უმეთვალყურო და ეულ საქონელს მუშურ-გლეხური მილიციის ორგანო, სასოფლო საბჭო ან უკანასკნელის რწმუნებული დროებით შესანახად გადასცემს უახლოეს კოლმეურნეობას ან საბჭოთა მეურნეობას აქტის მიხედვით.

აქტში აღინიშნება გადაცემული საქონლის ზუსტი აღწერა (ნიშნები, სიმსუქნე, ჯანმრთელობის მდგომარეობა), საქონლის გადამცემი და მიმღები ორგანიზაციების დასახელება საქონლის დროებითი შენახვის ვადის ზუსტი აღნიშვნა; აქტს ხელს აწერს იმ კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის პასუხისმგებელი პირი, რომელმაც საქონელი მიიღო.

7. დროებით შესანახად მიღებულ საქონელს კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ამუშავებს თავის მეურნეობებში, ამ უკანასკნელთა მიზნებისა და საჭიროების მიხედვით.

8. უმეთვალყურო და ეული საქონლის დროებით შენახვა და გამოყენება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მეურნეობებში განსაზღვრება შემდეგი ვადებით დღიდან აღმოჩენისა:

ა) მუშა და მსხვილფეხა რქიანი საქონლისა, აგრეთვე მისი მოზარდეულისა (ცხენი, ხარი, ძროხა, აქლემი, ვირი და ა. შ.) ექვსი თვის განმავლობაში;

ბ) წვრილფეხა საქონლისა და მისი მოზარდეულისა (ცხვარი, ღორი და ა. შ.) ორი თვის განმავლობაში.

9. უმეთვალყურო და ეული საქონლის რეგისტრაციისთანავე მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოები მოვალენი არიან მიიღონ ზომები მისი პატრონის მოსაძებნად: გამოაკრან განცხადება თავის შენობაში, დაუგზავნონ უწყება სასოფლო საბჭოებს და ა. შ.

10. უკეთუ პატრონი აღმოჩენილ იქნა ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში, საქონელი უნდა დაუბრუნდეს პატრონს მას შემდეგ, როდესაც იგი წარმოადგენს სათანადო დამამტკიცებელ საბუთებს

კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა საქონელს დაუბრუნებს პატრონს მუშურ-გლეხური მილიციის იმ ორგანოს წერილობითი ნარკვევის საფუძველზე, რომლისგანაც საქონელი მიღებულ იყო დროებით შესანახად.

11. პატრონისათვის საქონლის გადაცემის დროს, პატრონი მოვალეა აუნაზღაუროს საქონლის შემნახველ მეურნეობას ამ უკანასკნელის მიერ მიღებული უმეთვალყურო და ეული საქონლის კვებაზე გაწეული ხარჯები იმ სარგოს ჩათვლით, რაც მან ამ საქონლის გამოყენებით მიიღო.

შენიშვნა. საკითხი საქონლის შესანახი ხარჯისა და მისი გამოყენებით მიღებული სარგოს ჩათვლის შესახებ, უკეთუ შეთანხმება არ მოხდა, გადაწყდება სასამართლო წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. უკეთუ მე-8 მუხლით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მეპატრონე ვალყურო და ეული საქონლის პატრონი არ აღმოჩნდა, საქონელი გადადის ინ მეურნეობის საკუთრებად, სადაც იგი ინახებოდა, და პატრონი ჰკარგავს ყოველგვარ უფლებას ამ საქონელზე.

13. უმეთვალყურო და ეული საქონლის დაჭერის შეუტყობინებლობა და მისი დაუზოგველი ექსპლოატაცია იდევნება სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

364

38. ყარაიას სანადირო ნაკრძალის დაწესების შესახებ.

იმ მიზნით, რათა ყარაიას რაიონში გამრავლდეს სასარგებლო სანადირო ფაუნა (ირემი, ხოხობი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 10 წლის ვადით ყარაიას სანადირო ნაკრძალი ყოველგვარი ნადირობის აკრძალვით შემდეგ საზღვრებში:

ჩრდილო-დასავლეთით: პირდაპირი ხაზი რკინიგზის ყაზარმებიდან გარდაბანისა და რუსთავის რკინიგზის სადგურებს შუა მდინარე მტკვრამდე;

სამხრეთით: მდინარე მტკვარი აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე;

ჩრდილო-აღმოსავლეთით: გზატკეცილი აღნიშნული ყაზარმიდან აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე (მე-17 სარწყავი არხი) და აღმოსავლეთით აზერბაიჯანის სსრ საზღვარი.

2. მტაცებელ მხეცთა, აგრეთვე გარეული ღორების მოსპობა ორგანიზებული წესით დაეკისროს საქართველოს სსრ მონადირეთა ორგანიზაციებს (მონკავშირი, ა/კ სამხედრო ოლქის სამხედრო-სანადირო საზოგადოება) იმ პირობით, რომ ამ ორგანიზაციებმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიიღონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან სპეციალური წინასწარი ნებართვა მტაცებელ მხეცებსა და გარეულ ღორებზე ნადირობის შესახებ.

3. ყარაიას სანადირო ნაკრძალის დაცვა დაევალოს საქართველოს სსრ მონადირეთა კავშირს—„მონკავშირს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს ყარაიას რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მონკავშირს ყარაიას სანადირო ნაკრძალის დაცვაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგი.**

1938 წ. ოქტომბრის 26. № 2041.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ საბჭომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68.

მთავლ. № 3—4992 შეკვ. № 74 ტირაჟი 1500